



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-87.87211882

თარიღი:07/07/2021

**განკარგულება N20**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების 54-ე მუხლისა და 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონება:
  - ა) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში მდებარე 3029კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.12.35.120
  - ბ) ქ. ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 2370კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.41.210
  - გ) ქ. ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 2472კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.41.180
  - დ) ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა და მასზე დამაგრებული 777კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.42.086
  - ე) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოდაშენში მდებარე 425კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.02.35.414
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების, შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (ს/კ50.04.42.086), ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 დეკემბრის N46 განკარგულება.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით

გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

